თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4585340

ნომერი: AR1693253

თარიღი : 11.07.2019

გაცემის თარიღი : 18.07.2019

გაცნობის თარიღი : 18.07.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოსე გოგიბერიძის ქუჩა N10/მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. N14;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ მექერიშვილი პ/ნ 31001008981
- მცხეთა ს. საგურამო 1–ლი ქ. N 28

ორგანიზაცია:
- შპს "პუენტე სეკო" კოდი: 436043684

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა

დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 11 ივლისის AR16893253 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გოგიბერიძის ქ. N10/წინამძღვრიშვილის ქ. N14-ში არსებულ შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, გოგიბერიძის ქ. N10/წინამძღვრიშვილის ქ. N14-ში არსებულ შენობა- ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ რასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება, რადგან კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე არ ვრცელდება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა დასანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება და თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ლექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი>მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.